

პროდუქტების სახეცვლილება რუსეთი-უკრაინის ომის შემდეგ

DOI:10.36962/ECS106/9-10/2024-80

ანი ხაჩიძე

სტუ ასისტენტ პროფესორი
khachidzeani11@gtu.ge

რეზიუმე

2022 წლის 24 თებერვალს დატრიალებულმა მოვლენებმა საკმაოდ დიდი ზეგავლენა იქონია არამართო მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, არამედ კონკრეტულად საბანკო სფეროზე. აღნიშნული პერიოდის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე დაიწყო მასობრივი შემოღინება უცხოელების, რამაც მცირე პერიოდის შემდეგ დიდი ზეგავლენა მოახდინა არსებული პროდუქტების სახეცვლილებაზე. მაგალითისთვის: სს თიბისი ბანკში კონცეპტ მომსახურების ღირებულება თუკი 2022 წლამდე ყველა ქვეყნის მოქალაქისთვის შეადგენდა ყოველთვიურ 20 ლარს, უკვე ომის შემდგომ პერიოდში ბანკმა გადანყვეტილება მიიღო, რომ აღნიშნული საკომისიო გაეზარდა თვეში 25 ლარამდე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. რადგან აღნიშნულმა შეზღუდვამ დიდად ზეგავლენა ვერ მოახდინა ვერაფერზე, ამის შემდეგ საბანკო სფეროებში სავალდებულოდ შემოიღეს უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სავალდებულო გადასახდელი საკომისიო, რაც გულისხმობდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ვალდებული იყო ბანკში გადაეხადა ანგარიშის გახსნისთვის განხილვის საკომისიო, რაც განისაზღვრება 50 ლარით. მიუხედავად იმისა პასუხი დადებითი მოვიდოდა, თუ უარყოფითი, აღნიშნული საკომისიო სავალდებულო იყო და არის ყველა არარეზიდენტი პირისთვის. აღნიშნულ და სხვა მოვლენებზე დეტალურადაა საუბარი ნაშრომში.

საკვანძო სიტყვები: კონცეპტ მომსახურება, სატარიფო სანკრები, ეროვნულის რეგულაციები.

შესავალი

რა განაპირობებს საბანკო პროდუქტების ფასს? რა ახდენს გავლენას პროდუქტის სახეცვლილებაზე?

დროთა განმავლობაში მომხმარებელთა მოთხოვნილება იზრდება, შესაბამისად საჭირო ხდება ახალი პროდუქტის შემოღება, ან არსებული პროდუქტის გამრავალფეროვნება, იმისათვის, რომ არ დაეკარგოთ მომხმარებელი და მოვიზიდოთ ახალი.

ზოგადად საბანკო სფეროში ცვლილებების უმეტესი ნაწილი გამომდინარეობს ახალი კანონმდებლობის, ან ეროვნული ბანკის რეგულაციების შემოღების შედეგად. ზემოთ მოცემული პირობების ცვლილებას კი ინვესტ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები.

რა მოხდა კონკრეტულად 2022 წლის შემდეგ? რუსეთი-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, საქართველოში უამრავი უცხო ქვეყნის მოქალაქე შემოვიდა. მათმა უმრავლესობამ საქართველოში შეიძინა უძრავი ქონება, გახსნა ანგარიში და საკმაოდ დიდმა ნაწილმა დაარეგისტრირა ბიზნესი.

თუკი აქამდე უცხო ქვეყნის მოქალაქეს ესაჭიროებოდა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის პასპორტი იმისათვის რომ გაეხსნა ანგარიში, ამჟამად უკვე სხვა მრავალი დოკუმენტის წარმოდგენა მოითხოვება.

საქართველოში რუსეთის ყველა მოქალაქეს, გარდა სანქცირებული პირისა, შეუძლია გახსნას საბანკო ანგარიში და მიიღოს შესაბამისი მომსახურება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კომერციული ბანკის ნებაზეა დამოკიდებული, რადგან „კომერციული ბანკების შესახებ სა-

ქართველოს კანონით“ მას უფლება აქვს, მომხმარებელს ანგარიშის გახსნაზე უარი უთხრას. საქართველოში რამდენიმე ბანკმა რუსეთის მოქალაქეებთან დაკავშირებით ეს უფლება უკვე გამოიყენა. კონკრეტულმა კომერციულმა ბანკებმა რუსებს ანგარიშის გახსნაზე, უარი უთხრეს, ან სანაცვლოდ გარკვეული პირობების შესრულება მოსთხოვეს. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ანგარიშები გაუხსნეს, ხოლო შემდეგ მონიტორინგის განყოფილებამ მოითხოვა ანგარიშების დახურვა, რადგან ფიქსირდებოდა საეჭვო ტრანზაქციები.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშის გახსნისთვის საჭირო დოკუმენტებს, AML-ის მოთხოვნითა და საერთაშორისო პრაქტიკით, ბანკი ვალდებულია აკონტროლოს საეჭვო ტრანზაქციები და თუ ეს მოსალოდნელია, პირის შესახებ ინფორმაცია შეისწავლოს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ მიდგომა ერთგვაროვანი არ არის. რისკის კატეგორიის კონტროლი ყველა ბანკში ინდივიდუალურია და შიდა რეგულაციას ექვემდებარება. ასევე, შესაძლებელია, ანგარიშის გახსნასთან დაკავშირებით, ბანკის აქციონერს, მაგალითად, საფინანსო ინსტიტუტს ჰქონდეს გარკვეული ნესი, რომლის გათვალისწინებაც სავალდებულოა.

ანგარიშის გახსნის დროს თუ უცხო ქვეყნის და მათ შორის რუსეთის მოქალაქის შესახებ ინფორმაცია გადამოწმებადია, ან არ არის გადამოწმებადი, მაგრამ ბანკში გამოკითხვისას საეჭვოდ არაფერი ჩაითვალა, საფინანსო ინსტიტუტმა მას ანგარიში შესაძლოა, მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე გაუხსნას.

იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი პირის მიმართ კითხვები გაჩნდა, ან რომელიმე ქვეყნიდან საქართველოში ანგარიშის გახსნის მსურველთა რაოდენობა უეცრად გაიზარდა, რაც ნიშნავს, რომ რისკის კატეგორია იწევს, მოქალაქეებს შესაძლოა, ანგარიშის გახსნასთან დაკავშირებული დოკუმენტის წარდგენა მოუწიოთ. მათი ჩამონათვალი კი ყველა საფინანსო ინსტიტუტში სხვადასხვაა.

მაგალითისთვის: იმისათვის რომ სს „თიბისი ბანკ“-ში უცხო ქვეყნის მოქალაქემ გახსნას ანგარიში, საჭიროა:

1. ანგარიშის გახსნის მსურველი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (საერთაშორისო პასპორტი ან საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისთვის დასაშვები სხვა დოკუმენტი);

2. თვითდეკლარაცია საქართველოში საბანკო მომსახურების / პროდუქტების მიღების / სარგებლობის საჭიროების შესახებ, რომელიც უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ანგარიშის გახსნის მიზნის და მოსალოდნელი საბანკო ოპერაციების შესახებ (ფორმდება ბანკში ვიზიტის დროს).

3. ბანკის მიერ შესაძლებელია დამატებით მოთხოვნილ იქნას:

- ანგარიშზე ჩასარიცხი/განსათავსებელი თანხების წარმოშობის წყაროს დოკუმენტაცია;
- სპეციალური კითხვარის შევსება;
- იურიდიული/ფაქტობრივი მისამართის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ინფორმაცია და/ან დოკუმენტაცია საქმიანობის შესახებ. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს პირის მიერ ბანკისთვის მიწოდებულ / გაცხადებულ ინფორმაციას;

• ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ნებისმიერი დოკუმენტი / ინფორმაცია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებისა, მომხმარებელი პიზიკური პირი ვალდებულია გადაიხადოს 50 ლარი მოხლოდ იმისთვის, რომ ბანკმა განიხილოს მისი ანგარიშის გახსნის მოთხოვნა. აღნიშნული თანხა რჩება ბანკს მიუხედავად იმისა, ბანკი განაცხადებს თანხმობას, თუ არა.

რაც შეეხება იურიდიულ პირს, თუკი კომპანიის რომელიმე დამფუძნებელი, ან რომელიმე დირექტორი არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, მაშინ კომპანიის წარმომადგენელი ვალდებულია გადაიხადოს მხოლოდ 300 ლარი იმისთვის, რომ ბანკმა განიხილოს მისი ანგარიშის გახსნის მოთხოვნა. აღნიშნული თანხა რჩება ბანკს მიუხედავად იმისა, ბანკი განაცხადებს თანხმობას, თუ არა.

უპიზო რაჟიმი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის ივნისის დადგენილებით, რუსეთი მოხვდა იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომელთა მოქალაქეებსაც საქართველოში უვიზოდ ყოფნა 1 წლის ვადით შეუძლიათ.

ხელისუფლებამ რამდენჯერმე განაახლა ქვეყნის მიგრაციის პოლიტიკის დოკუმენტი, თუმცა რუსეთთან უვიზო რეჟიმის ცვლილება არ მომხდარა.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტული ვადით, უვიზო რეჟიმის გამოყენებით საქართველოში დარჩენის შესაძლებლობის გარდა, არსებობს ბინადრობის ნებართვის რამდენიმე სახე, ისინი ერთმანეთისგან მოქმედების ვადის მიხედვითაც განსხვავდება. სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, რუსეთის მოქალაქეებს აქვთ ბინადრობის უფლების კონკრეტული სახეობის მიღების შესაძლებლობა.

რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსის წევრმა 30-მდე ორგანიზაციამ ხელისუფლებას მოუწოდა, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს უვიზო მიმოსვლა რუსეთთან.

ბიზნესის რეგისტრაცია

საქართველოში ბიზნესის რეგისტრაცია უცხო ქვეყნის, მათ შორის რუსეთის მოქალაქისთვის მარტივია. მეტიც, საჯარო რეესტრში ბიზნესის რეგისტრაცია სანქცირებულ რუსებსაც შეუძლიათ.

იუსტიციის სახლს მხოლოდ 3 დღეში (1-4 მარტს), ბიზნესის რეგისტრაციისთვის 201-მა რუსმა მიმართა. გამოძიებულ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი, ფაქტის“ ინფორმაციით, რუსებს იურიდიულ პროცედურებში ხშირად ქართველებიც ეხმარებიან. ზოგი კი უძრავი ქონების გამოყენების უფლებასაც აძლევს.

ბიზნესის რეგისტრაციისთვის საჭიროა, დაინტერესებულმა პირმა საჯარო რეესტრში წარადგინოს ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო შეთანხმება, რომელიც მოიცავს „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციასა და წესდებას.

სარეგისტრაციო მიზნებისთვის, სტანდარტული წესდების ქალაქის, ან ელექტრონული ვერსიის საჯარო რეესტრში წარდგენა არ მოითხოვება. ხოლო, არასტანდარტული წესდების არსებობის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი და დამოწმებული წესდების მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენა სავალდებულოა. თუ ბიზნესის რეგისტრაციის მსურველის მიერ გაკეთებული ჩასწორება კანონთან შესაბამისობაში არ იქნება, საჯარო რეესტრი მას დაახარვეზებს და რეგისტრაციის მსურველს შესწორებისთვის ერთ თვიან ვადას მისცემს.

უცხო ქვეყნის მოქალაქემ ბიზნესის რეგისტრაციის დროს სავალდებულოა მიუთითოს კომპანიის იურიდიული მისამართი. თუ კომპანიის დირექტორი, ან დამფუძნებელი კონკრეტულ მისამართზე არ არის რეგისტრირებული, მაშინ საჭიროა იმ პირის თანხმობა, რომლის კუთვნილი უძრავი ქონებაც იქნება კომპანიის იურიდიული მისამართი. ერთ სამუშაო დღეში ბიზნესის რეგისტრაციის ღირებულება 100 ლარია, იმავე სამუშაო დღეს რეგისტრაციის საფასური კი 200 ლარს შეადგენს.

ქონების რეგისტრაცია

უცხო ქვეყნის, მათ შორის რუსეთის ყველა მოქალაქეს, საქართველოში კანონით ეკრძალება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა. სხვა ტიპის უძრავი ქონების, მათ შორის: ბინის, კერძო სახლის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ყიდვა კი, შეუძლია.

კერძო სექტორის ნაწილი, რუსეთის უკრაინაში შეჭრის გამო რუსეთის მოქალაქეებისათვის საქართველოში უძრავი ქონების მიყიდვის აკრძალვას ითხოვს.

საბანკო სფეროში მიმდინარე ცვლილებები რომ განვიხილოთ, გარდა იმისა, რომ ანგარიშს გა-

ხსნის განხილვის საკომისიო აქვეთ გადასახდელი მომხმარებლებს ყველა პროდუქტი არარეზიდენტი პირებისთვის გაძვირებულია.

საბანკო სფეროს მოგება საკმაოდ გაზარდა თუნდაც ანგარიშის გახსნის განხილვის საკომისიოს შემოღებამ, თუმცა აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდა. როგორც აღნიშნეთ საქართველოს მოქალაქეები კერძო ბანკების მომსახურებით სარგებლობენ თვეში 20 ლარად, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქე აღნიშნულში იხდის 25 ლარს. ასევე ყველა საბანკო სფეროში ანგარიშის გახსნისას აუცილებელია ნაკრების/პაკეტის გააქტიურება. თუკი საქართველოს მოქალაქე პირებისთვის აღნიშნული ნაკრების გააქტიურება მინიმუმ თვეში 2 ლარით განისაზღვრება, ხოლო წლიური 20 ლარით, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის სხვა ფასია და მას თვეში 2 ლარის ნაცვლად უწევს 10 ლარის გადახდა, ხოლო წლიურად 100 ლარის.

კომერციული ბანკების ნაწილი, გარდა იმისა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ავსებინებს ანკეტას, ახდენინებს ფულს და მრავალ სხვა საბუთს თხოვს, ასევე მონიტორინგის განყოფილება უკავშირდება თავად ანგარიშის გახსნის მთხოვნელს და სატელეფონო საუბრით აკეთებს გამოკითხვას მისთვის საჭირო თემებზე და მხოლოდ სატელეფონო საუბრის შემდეგ იღებს გადანყვებილებას, გახსნას ანგარიში თუ არა.

კიდევ ერთი საბანკო პროდუქტი, რომელზეც ომის შემდგომმა მოვლენებმა გავლენა იქონია, არის საბანკო ინდივიდუალური სეიფები. საბანკო სეიფები არის სეიფი, რომელიც არსებობს ორი ზომის და რომელშიც მომხმარებელს შეუძლია განათავსოს ნებისმიერი ნივთი, რომლის შენახვაც მას სურს. იქნება ეს: ფული, ოქრო, აქსესუარი, დოკუმენტები და სხვა. ინდივიდუალური სეიფები ყველა ბანკს აქვს თითო ფილიალში ან სათაო ოფისში. უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემოდინების შემდეგ საკმაოდ გაიზარდა მოთხოვნა ინდივიდუალურ სეიფებზე, რამაც პირდაპირ იმოქმედა მის ფასზე და უმეტესობა ბანკებში ინდივიდუალური სეიფის ფასი გაიზარდა.

დასკვნა

2022 წლის თებერვლის შემდეგ მიმდინარე მოვლენებმა, ეტაპობრივად და ნელ ნელა იმოქმედა ზოგადად საქართველოს ეკონომიკასა და პირდაპირ საბანკო სისტემაზე. სტატიაში საუბარი აღარაა უკვე ყველაზე პრობლემურ საკითხზე უძრავი ქონების ფასებზე და ყურადღება გამახვილებულია საბანკო სფეროს პროდუქტებზე აღბეჭდილ ცვლილებებზე. დღესდღეობით საქართველოში არსებული კომერციულ ბანკებში საკმაოდ დიდი მოთხოვნაა ანგარიშის გახსნასა და სხვა სერვისებით სარგებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა პირდაპირ იმოქმედა საბანკო სფეროს ახალ წესებსა და პროდუქტებზე. უმეტესი მომსახურების ფასი გაიზარდა იმ პირებისთვის, ვინც არ არის საქართველოს მოქალაქე, გამკაცრდა კონტროლი ანგარიშზე არსებული ბრუნვების შესახებ და საბანკო სფერო იძულებული გახდა თავი დაეცვა ქვეყანაში უკანანო ფულის შემოდინებისა და ფულის გათეთრებისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საჯარო რეესტრის მონაცემები
2. სს თიბისი ბანკის შიდა მონაცემები
3. სს საქართველოს ბანკის შიდა მონაცემები
4. სს ტერა ბანკის შიდა მონაცემები
5. <https://nbg.gov.ge/>

REFERENCES:

1. Public register data
2. Internal data of JSC TBC Bank
3. Internal data of JSC Bank of Georgia
4. Internal data of JSC Tera Bank
5. <https://nbg.gov.ge/>

PRODUCT TYPES CHANGES AFTER THE RUSSIA-UKRAINE WAR

Ani Khachidze

GTU Assistant Professor
khachidzeani11@gtu.ge

RESUME

The events of February 24, 2022 had a profound impact not only on the events in the world, but also on the banking sector of the specifics. After this period, a mass influx of foreigners began on the territory of Georgia, which after a short period of time had a huge impact on the appearance of existing products. For example: the cost of the concept service at one Bank if it amounted to 20 GEL monthly for all citizens of all countries before 2022, the Bank decided to increase the non-benchmark fee to 25 GEL per month for foreign nationals. Since the mentioned restriction did not have a huge impact on anything, after that the commission on the obligatory payment of a foreign citizen was introduced in the banking fields, which meant that a foreign citizen was obliged to pay the commission for the review for opening an account in the bank, which is determined by 50 GEL. Regardless of whether the answer would come positive or negative, this commission was mandatory and is for all non-resident persons. The paper discusses these and other events in detail. It is clarified - what exactly has changed in the banking sector after the massive influx of foreign citizens and the increase in the number of account openings. Specific facts are presented, which is currently happening in all commercial banks. It is recommended - what method should the user apply when opening an account, using personal banking services, using an individual safe, registering property. Relevant areas are given, with their service prices, which will help both the receiver and the service provider to get the information they need in advance.

Key words: Concept Services, Tariff Sanctuary, National Regulations.